შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

პროფესიული უნარების ტესტი წამყვანი და მენტორი მასწავლებლობის მსურველთათვის

I ვარიანტი

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ტესტში არის სამი ტიპის - არჩევითპასუხიანი, შესაბამისობის და ღია დავალებები (სულ 32 დავალება).

ტესტის მაქსიმალური ქულაა 70.

თითოეული ტიპის დავალებათა ბლოკს წინ უძღვის ინსტრუქცია. ყურადღებით წაიკითხეთ თითოეული მათგანი, კარგად გაიაზრეთ, რა მოგეთხოვებათ დავალებების შესრულებისას და შემდეგ აირჩიეთ ან დაწერეთ პასუხი.

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 4 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

* ზოგიერთი დავალება არ თავსდება ერთ გვერდზე, ასეთ შემთხვევაში მეორე და ა. შ. გვერდის საძიებლად დავალების ნომერს ემატება ლათინური ასოები - a, b…

ინსტრუქცია

არჩევითპასუხიან დავალებებს ოთხი სავარაუდო პასუხი აქვს, რომელთაგან სწორია მხოლოდ ერთი. დავალების არსში უკეთ გასარკვევად ყურადღება მიაქციეთ შეკითხვაში ხაზგასმულ, გამუქებულ ფრაზებს.

არჩევითპასუხიანი დავალებები ერთქულიანია.

1 2 3 4 5 6 7 8 8a 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 21a 22 23
23a 24 24a 25 25a 26 26a 27 27a 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

დავალება N 1

საგანმანათლებლო პროცესში აქტიურად ინერგება უნივერსალური დიზაინის პრინციპები.

ჩამოთვლილთაგან რომელ აქტივობაშია ასახული სასწავლო მასალის მრავალნაირად მიწოდების, რეპრეზენტაციის უზრუნველყოფის პრინციპი?

ა) მასწავლებელმა შესასწავლი მოთხრობის წარდგენისას გამოიყენა ილუსტრაციები, შემდეგ აჩვენა ამ თემაზე შექმნილი ანიმაცია და მიაწოდა მოთხრობის სიუჟეტის განვითარების სქემა.

ბ) მასწავლებელმა მოსწავლეებს შესთავაზა, მათემატიკური ამოცანის ამოხსნისას სურვილისამებრ ამოერჩიათ ნახატის ან სამგანზომილებიანი ფიგურების შექმნა, ან კიდევ ცხრილის შევსება.

გ) მასწავლებელმა მოთხრობის შესწავლამდე მოსწავლეებს გაახსენებინა მსგავსი სიტუაციები მათი ცხოვრებიდან და სთხოვა, განესახიერებინათ ეს სიტუაციები სპონტანური როლური თამაშით.

დ) მუსიკის მასწავლებელმა მოსწავლეებს სიმღერის შესწავლის შემდეგ მისცა საშუალება, რომ სხეულის ენით გადმოეცათ სიმღერის შინაარსი.

1 2 3 4 5 6 7 8 8a 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 21a 22 23
23a 24 24a 25 25a 26 26a 27 27a 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

დავალება N 2

კომუნიკაციის ალტერნატიული და აუგმენტატური საშუალებების, ასევე, ჟესტური ენის გამოყენების შესახებ გამოთქმული რომელი მოსაზრება/მოსაზრებებია მართებული?

I. კომუნიკაციის ალტერნატიული საშუალებების გამოყენებით ხელს ვუწყობთ მოსწავლის ემოციურ-პიროვნულ განვითარებას და ის ნაკლებად ხვდება ისეთ სტრესულ სიტუაციაში, რომელმაც შეიძლება მისი დათრგუნვა და დემოტივაცია გამოიწვიოს.

II. სამეტყველო პროცესის განვითარებას სჭირდება მოტივაცია, წახალისება, ბიძგი. როდესაც ბავშვს მეტყველებისათვის ალტერნატიულ საშუალებებს ვთავაზობთ, მისი მოტივაცია ქვეითდება და, შესაძლოა, დაბრკოლდეს მეტყველების განვითარება.

III. ბავშვის მეტყველების განვითარების დარღვევის ან/და ენობრივი ბარიერის არსებობის დროს, არსებითია, რომ ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, მისთვის უზრუნველვყოთ წვდომა დამხმარე საკომუნიკაციო საშუალებებთან, მათ შორის, ჟესტურ ენასთანაც.

ა) მხოლოდ I; ბ) მხოლოდ I და III; გ) მხოლოდ II; დ) მხოლოდ II და III.

1 2 3 4 5 6 7 8 8a 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 21a 22 23
23a 24 24a 25 25a 26 26a 27 27a 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

დავალება N 3

დემოკრატიული კულტურის კომპეტენციებს შორის ერთ-ერთია გაურკვევლობისადმი შემწყნარებლური დამოკიდებულება. ჩამოთვლილთაგან რომელი დესკრიპტორი მიგვითითებს, რომ პიროვნებას აქვს ზემოთ დასახელებული კომპეტენცია?

ა) შეუძლია, დაეხმაროს სხვებს კონფლიქტის მოგვარებაში იმით, რომ შესთავაზოს რამდენიმე შესაძლო ალტერნატიული გამოსავალი შექმნილი ვითარებიდან.

ბ) შეუძლია, მოსთხოვოს მოსაუბრეს ნათქვამის განმარტება, თუ იგი მისთვის ნაკლებად გასაგები ან ბუნდოვანია.

გ) გამოხატავს სურვილსა და მზადყოფნას, განიხილოს წინააღმდეგობრივი და არასრული ინფორმაცია ისე, რომ არ გამოიტანოს წინასწარი დასკვნები.

დ) საჭიროების შემთხვევაში, ცვლის ურთიერთობის სტილსა და მანერას სხვა ადამიანებთან ეფექტიანი კომუნიკაციის დამყარების მიზნით.

1 2 3 4 5 6 7 8 8a 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 21a 22 23
23a 24 24a 25 25a 26 26a 27 27a 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

დავალება N 4

სწავლების ერთ-ერთი მიზანი არის ის, რომ მოსწავლეებმა შეძლონ სკოლაში შეძენილი ცოდნისა და უნარების გამოყენება ცხოვრებისეული პრობლემების გადასაჭრელად.

ჩამოთვლილთაგან რომელი რეკომენდაციის/რეკომენდაციების გათვალისწინებაა მნიშვნელოვანი პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების დროს?

I. პრობლემის გადასაჭრელად მოსწავლე უნდა იყენებდეს ნაცნობ სტრატეგიას, რათა შეძლოს პრობლემური სიტუაციისათვის მისი მორგება.
II. პრობლემა უნდა აღძრავდეს ინტერესს, რათა მოსწავლეებს გაუჩნდეთ მასთან შეჭიდების სურვილი და ძალისხმევა მიმართონ მის გადასაჭრელად.
III. პრობლემური საკითხი უნდა შეესაბამებოდეს მოსწავლის უნარებს, მის გამოცდილებას და ასაკით განპირობებულ კოგნიტურ შესაძლებლობებს.

ა) მხოლოდ I; ბ) მხოლოდ I და III; გ) მხოლოდ II; დ) მხოლოდ II და III.

1 2 3 4 5 6 7 8 8a 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 21a 22 23
23a 24 24a 25 25a 26 26a 27 27a 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

დავალება N 5

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ციკლი მოიცავს საფეხურებს, რომელთა თანმიმდევრული გავლა უზრუნველყოფს მის ეფექტიანობას.

ჩამოთვლილთაგან რომელი თანმიმდევრობაა **ყველაზე მართებული** მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ციკლში?

ა) მასწავლებლის საჭიროებების დადგენა, მიზნების შემუშავება, აქტივობებისა და სამოქმედო გეგმის განსაზღვრა, მოსწავლეთა საჭიროებების დადგენა, პროფესიული განვითარების გეგმის განხორციელება, შედეგების შეფასება.

ბ) მიზნების შემუშავება, მასწავლებლის საჭიროებების დადგენა, მოსწავლეთა საჭიროებების დადგენა, აქტივობებისა და სამოქმედო გეგმის განსაზღვრა, პროფესიული განვითარების გეგმის განხორციელება, შედეგების შეფასება.

გ) მოსწავლეთა საჭიროებების დადგენა, მასწავლებლის საჭიროებების დადგენა, მიზნების შემუშავება, აქტივობებისა და სამოქმედო გეგმის განსაზღვრა, პროფესიული განვითარების გეგმის განხორციელება, შედეგების შეფასება.

დ) მასწავლებლის საჭიროებების დადგენა, მოსწავლეთა საჭიროებების დადგენა, მიზნების შემუშავება, აქტივობებისა და სამოქმედო გეგმის განსაზღვრა, პროფესიული განვითარების გეგმის განხორციელება, შედეგების შეფასება.

1 2 3 4 5 6 7 8 8a 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 21a 22 23
23a 24 24a 25 25a 26 26a 27 27a 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

დავალება N 6

ცოდნის გენერალიზების უნარის ჩამოყალიბებისათვის **ყველაზე მნიშვნელოვანია:**

ა) უცვლელი და სტაბილური გარემოს შექმნა, სადაც მოხდება დასწავლილი ქცევებისა და ცოდნის ხშირი გამეორება.

ბ) კონკრეტული უნარებისა და ცოდნის დაუფლებისას მათი დაკავშირება მოსწავლის ყოველდღიურ ცხოვრებასთან.

გ) მოსწავლისათვის სრული დამოუკიდებლობის მიცემა, ემპათიის გამოხატვა და უსაფრთხო, მხარდამჭერი გარემოს შექმნა.

დ) კონკრეტული მიზნების დასახვა და მოსწავლისთვის ამ მიზნის მისაღწევად შეძენილი ცოდნისა და უნარის მნიშვნელოვნების ჩვენება.

1 2 3 4 5 6 7 8 8a 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 21a 22 23
23a 24 24a 25 25a 26 26a 27 27a 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

დავალება N 7

ჩამოთვლილთაგან მასწავლებლის მიერ დაგეგმილი რომელი აქტივობა შეუწყობს ხელს **ყველაზე მეტად** საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლას?

ა) მასწავლებლის დავალებით, მოსწავლეებმა პროექტის ფარგლებში შეისწავლეს ადგილობრივი წყალსაცავის ეკოლოგიური მდგომარეობა და მოიძიეს დაბინძურების პრობლემის გადაჭრის გზები.

ბ) მასწავლებლის დავალებით, მოსწავლეებმა სკოლის ეზოში აღრიცხეს ის ხეები და ნარგავები, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებასა და მოვლა-პატრონობას საჭიროებდა.

გ) მასწავლებელმა მოსწავლეებს შესთავაზა, მოემზადებინათ რეფერატები თემაზე: „ჩვენი სოფლის მცენარეთა და ცხოველთა ველური სახეობების ბიომრავალფეროვნება“.

დ) მასწავლებელმა მოსწავლეებს შესთავაზა, აერჩიათ მათთვის სასურველი ქვეყანა და მოემზადებინათ პრეზენტაცია თემაზე: „სოციალური კეთილდღეობის დაცვის სისტემები ქვეყანაში.“

1 2 3 4 5 6 7 8 8a 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 21a 22 23
23a 24 24a 25 25a 26 26a 27 27a 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

დავალება N 8

* დავალების გაგრძელება იხილეთ მომდევნო გვერდზე

თემატური ერთეულის ფარგლებში მეშვიდეკლასელებმა შეისწავლეს რამდენიმე ტექსტი, რომლებიც ასახავდა სხვადასხვა ტიპის ძალადობას ბავშვებსა და მოზარდებზე. პარალელურად, მათ გააანალიზეს ეს პრობლემა ბავშვის უფლებათა კონვენციასთან მიმართებით. კომპლექსური დავალება - „ძალადობა ჩვენ გარშემო და ბავშვის უფლებები“, რომელიც მოსწავლეებს უნდა შეესრულებინათ, ნაწილმა არასწორად გაიგო და პრობლემა მხოლოდ შესწავლილ ტექსტებზე დაყრდნობით წარმოადგინა.

ჩამოთვლილთაგან მასწავლებლის რომელი აქტივობა დაეხმარებოდა მოსწავლეებს **ყველაზე მეტად** დავალების ადეკვატურად შესრულებაში?

ა) მასწავლებელს მოსწავლეებისთვის ტექსტების შესწავლამდე უნდა გაეცნო კომპლექსური დავალების პირობა და ძირითად რესურსად ბავშვის უფლებათა დეკლარაცია დაესახელებინა.

ბ) მასწავლებელს მოსწავლეებისთვის უნდა აეხსნა, რომ მათ მიერ შესრულებული კომპლექსური დავალების მთავარი მიზანი ბავშვების მიმართ ძალადობის აღმოფხვრის გზების განსაზღვრაა.

1 2 3 4 5 6 7 8 8a 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 21a 22 23
23a 24 24a 25 25a 26 26a 27 27a 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

გ) მასწავლებელს მოსწავლეებისთვის ტექსტების გაცნობამდე მკაფიოდ უნდა აეხსნა, რომ მათი შესწავლის მიზანი თანამედროვე სამყაროში ბავშვთა უფლებების დარღვევის იდენტიფიცირება და მათზე რეაგირებაა.

დ) მასწავლებელს მკაფიოდ უნდა ჩამოეყალიბებინა მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების ინსტრუქცია, რომელიც მოიცავდა როგორც შინაარსობრივი მხარის დაზუსტებას, ისე დასაწერი ტექსტის ტიპისა და ფორმის ძირითად მახასიათებლებს.

1 2 3 4 5 6 7 8 8a 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 21a 22 23
23a 24 24a 25 25a 26 26a 27 27a 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

დავალება N 9

ჩამოთვლილთაგან რომელ მიზანს უნდა ემსახურებოდეს ტიპური განვითარების მქონე მოსწავლეების ცნობიერების ამაღლება ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებით?

ა) ტიპური განვითარების მქონე მოსწავლეების მიერ საკუთარ ინტერესებთან შედარებით სსსმ მოსწავლის ინტერესებისათვის პრიორიტეტის მინიჭებას.

ბ) ტიპური განვითარების მქონე მოსწავლეების მიმღებლობის უნარის გაზრდას სსსმ მოსწავლეების მიმართ და მათი ადვოკატირების სურვილის გაღვივებას.

გ) ტიპური განვითარების მქონე მოსწავლეების მხრიდან სსსმ მოსწავლეებზე განსაკუთრებულ ზრუნვასა და მათ მიმართ სიბრალულის გამოხატვას.

დ) ტიპური განვითარების მქონე მოსწავლეების მიერ სსსმ მოსწავლესთან ურთიერთობის ინიციატივის გამოვლენასა და მისი სოციალური უნარების განვითარებაზე პასუხისმგებლობის აღებას.

1 2 3 4 5 6 7 8 8a 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 21a 22 23
23a 24 24a 25 25a 26 26a 27 27a 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

დავალება N 10

ჩამოთვლილთაგან რომელი **არ არის** კრიტიკული აზროვნების მახასიათებელი?

ა) **თავმდაბლობა** - იმის აღიარება, რომ სხვისი მოსაზრებები უკეთესად არის არგუმენტირებული.

ბ) **ცნობისმოყვარეობა** - მეტი ინფორმაციის შესწავლისა და მტკიცებულებების მოძიების სურვილი.

გ) **მედეგობა** - პოზიციის სიმყარე სხვისი მოსაზრებების დამაჯერებელი არგუმენტაციის საპასუხოდ.

დ) **სკეპტიციზმი** - ჯანსაღი დამოკიდებულება ახალი ინფორმაციის გადამოწმებასთან დაკავშირებით.

1 2 3 4 5 6 7 8 8a 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 21a 22 23
23a 24 24a 25 25a 26 26a 27 27a 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

დავალება N 11

მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტის მიხედვით წამყვანსა და მენტორ მასწავლებლებს დამატებითი მოთხოვნები აქვთ განსაზღვრული.

ჩამოთვლილთაგან რომელია მენტორი მასწავლებლის ვალდებულება/ვალდებულებები?

I. ეროვნულ დონეზე კონტაქტების დამყარება სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან.

II. ეროვნულ დონეზე ზოგადი განათლების სფეროში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით რეკომენდაციების შემუშავება.

III. კონტაქტების დამყარება საერთაშორისო საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან.

ა) მხოლოდ I; ბ) მხოლოდ I და III; გ)მხოლოდ II; დ)მხოლოდ II და III.

1 2 3 4 5 6 7 8 8a 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 21a 22 23
23a 24 24a 25 25a 26 26a 27 27a 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

დავალება N 12

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა ეფუძნება ხუთ საგანმანათლებლო პრინციპს.

ჩამოთვლილთაგან რომელი აღწერა შეესაბამება **ყველაზე მეტად** ამ პრინციპებიდან ერთ-ერთს — ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებას?

ა) კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში მოსწავლე თანდათანობით მიდის ახალ ცოდნამდე. მას ახალი მასალა ერთბაშად და მოუმზადებლად არ მიეწოდება.

ბ) სწავლა-სწავლების პროცესში თეორიული მასალის დამახსოვრებასთან ერთად ყურადღება ექცევა პროცედურებს და თეორიული მასალის გააზრებას.

გ) სწავლა-სწავლების დროს მოსწავლე აქტიურ, შემოქმედებით პროცესშია ჩართული, თავად აგებს ცოდნას და არ არის პასიური მსმენელის როლში.

დ) სწავლა-სწავლების პროცესი მოსწავლეს ეხმარება სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული ინფორმაციის გაერთიანებასა და ცოდნის კონსტრუირებაში.

1 2 3 4 5 6 7 8 8a 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 21a 22 23
23a 24 24a 25 25a 26 26a 27 27a 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

დავალება N 13

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის ერთ-ერთი გავრცელებული მეთოდია ინტერვიუ.

ჩამოთვლილთაგან რომელი რეკომენდაციის გათვალისწინება **არ არის** მართებული ინტერვიუირების დროს:

ა) მიეცით რესპონდენტს თუნდაც ხანგრძლივი პაუზების საშუალება, რადგან ფიქრი ინტერვიუს ბუნებრივი ფაზაა.

ბ) ღიად გამოხატეთ დადებითი ემოციები, რათა უბიძგოთ რესპონდენტს გულწრფელი პასუხების გაცემისაკენ.

გ) მოთმინებით მოისმინეთ რესპონდენტის აზრი ბოლომდე, თუნდაც გახანგრძლივდეს პასუხი შეკითხვაზე.

დ) მშვიდად მოისმინეთ რესპონდენტის ყველა აზრი, ისეთიც, რომელსაც კატეგორიულად არ ეთანხმებით.

1 2 3 4 5 6 7 8 8a 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 21a 22 23
23a 24 24a 25 25a 26 26a 27 27a 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

დავალება N 14

ქვემოთ მოცემულია მოსწავლეთა მოსაზრებები მასწავლებლის მიერ წერითი დავალების განმსაზღვრელ შეფასებასთან დაკავშირებით. რომელი მოსაზრება/მოსაზრებები მიესადაგება შეფასების ძირითად პრინციპებს?

I. ჩემი აზრით, მასწავლებელმა არ უნდა იცოდეს, ვის ნაშრომს აფასებს, ჩემი ნება რომ იყოს, არც ერთ დავალებას სახელს და გვარს არ დავაწერდი.

II. შემაჯამებელი დავალება თანაკლასელისგან გადავიწერე, მასწავლებელი ალბათ ვერ მიხვდა, რადგან ორივეს ათ-ათი ქულა დაგვიწერა. როგორც ჩანს, ის შეფასებისას ერთნაირ კრიტერიუმებს იყენებს.

III. შეიძლება მე არ ვიცოდე ზუსტი კრიტერიუმები, რომლითაც მასწავლებელი ჩემს დავალებას აფასებს, მაგრამ ის პროფესიონალია და უკეთ იცის, რასაც აკეთებს.

ა) მხოლოდ I; ბ) მხოლოდ I და II; გ) მხოლოდ II და III; დ) მხოლოდ III.

1 2 3 4 5 6 7 8 8a 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 21a 22 23
23a 24 24a 25 25a 26 26a 27 27a 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

დავალება N 15

ჩამოთვლილთაგან რომელია მართებული რეკომენდაცია მართული კითხვის მეთოდის ეფექტიანი გამოყენებისათვის?

ა) მასწავლებელმა იმ მოსწავლეებს, რომელთაც უჭირთ კითხვა, სახლში მოსამზადებლად უნდა მისცეს ტექსტები, რომ შემდეგ კლასთან ერთობლივი კითხვის დროს არ შეფერხდნენ.

ბ) მასწავლებელმა გაკვეთილზე დასამუშავებლად წინასწარ უნდა მისცეს ყველა მოსწავლეს სხვადასხვა დონის ტექსტი კითხვით შესასწავლად.

გ) მასწავლებელმა წინასწარ უნდა შეარჩიოს ერთი ტექსტი ყველა ჯგუფისათვის, რომელიც შეესაბამება კლასის უმრავლესობის კითხვის დონეს.

დ) მასწავლებელმა მოსწავლეთა ჯგუფებისათვის წინასწარ უნდა შეარჩიოს რამდენიმე ტექსტი, რომელიც მათი კითხვის დონის შესაბამისი იქნება.

1 2 3 4 5 6 7 8 8a 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 21a 22 23
23a 24 24a 25 25a 26 26a 27 27a 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

დავალება N 16

მოქალაქის აღზრდის პროცესში სკოლის როლი აღემატება სხვა ნებისმიერი საჯარო თუ კერძო ორგანიზაციის შესაძლებლობას, თუკი სკოლა განახორციელებს მოქალაქეობრივი განათლების წარმატებული პრაქტიკის მოდელებს.

ჩამოთვლილთაგან რომელია მოქალაქეობრივი განათლების წარმატებით დანერგვის ეფექტიანი მოდელი/მოდელები?

I. მოქალაქეობრივი განათლების წარმატებული პრაქტიკის ერთ-ერთი მოდელია მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენებისა და სადავო საკითხების განხილვა, რათა მოსწავლეებს განუვითარდეთ კრიტიკული აზროვნება და კომუნიკაციური უნარები.

II. მოქალაქეობრივი განათლების წარმატებული პრაქტიკის ერთ-ერთი მოდელია „საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლება“, რომელიც ითვალისწინებს საკლასო და სასკოლო პროექტების შინაარსის/ფორმის დაკავშირებას საზოგადოებრივ საჭიროებებთან.

III. მოქალაქეობრივი განათლების წარმატებული პრაქტიკის ერთ-ერთი მოდელია ფორმალური საგანმანათლებლო გარემოს ისე აგება, რომ მაქსიმალურად შეეწყოს ხელი მოსწავლეებში მოქალაქეობრივი ცნობიერების იმგვარად ჩამოყალიბებას, რომ აღარ შეიქმნას დამატებითი აქტივობების საჭიროება.

ა) მხოლოდ I; ბ) მხოლოდ I და II; გ) მხოლოდ II და III; დ) მხოლოდ III.

1 2 3 4 5 6 7 8 8a 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 21a 22 23
23a 24 24a 25 25a 26 26a 27 27a 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

დავალება N 17

მოსწავლეს თანაკლასელი დასცინის მეტყველებასთან დაკავშირებული პრობლემების გამო, ართმევს ნივთებს და ჯიბის ფულს. მოსწავლე თავს არიდებს სკოლაში სიარულს, რაც უარყოფითად აისახება მის როგორც აკადემიურ მოსწრებაზე, ასევე, ემოციურ მდგომარეობაზე.

ჩამოთვლილთაგან რომელი სტრატეგია/სტრატეგიები უნდა გამოიყენოს მასწავლებელმა ბულინგის პრობლემის მოსაგვარებლად?

I. ბულინგის პრობლემასთან დაკავშირებით სკოლაში მოიწვიოს მშობლები და მოაწყოს განხილვა მონაწილეებსა და სკოლის დირექციასთან ერთად.

II. მოუსმინოს ბულინგის მსხვერპლს, გაარკვიოს, რა სჭირდება უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და აჩვენოს, რომ მზად არის მის დასახმარებლად.

III. გაესაუბროს ბულინგის მონაწილეებს და ფაქტის შემსწრე მოსწავლეებს. გაარკვიოს დეტალები და თანდათან გააფართოოს განხილვის მონაწილეთა წრე.

ა) მხოლოდ I; ბ) მხოლოდ I და III; გ) მხოლოდ II; დ) მხოლოდ II და III.

1 2 3 4 5 6 7 8 8a 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 21a 22 23
23a 24 24a 25 25a 26 26a 27 27a 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

დავალება N 18

მასწავლებელმა საინფორმაციო ტექსტის დამუშავების წინ მოსწავლეებს შესთავაზა „შესასვლელი ბილეთების“ შევსება. „შესასვლელი ბილეთების“ ეფექტიანი გამოყენების შესახებ გამოთქმული რომელი დებულება/დებულებებია მართებული?

I. ტექსტის წაკითხვამდე „შესასვლელი ბილეთების“ შევსება დაეხმარება მასწავლებელს, მიიღოს საჭირო ინფორმაცია, რომელსაც გაითვალისწინებს ტექსტზე მუშაობის დროს.

II. ტექსტის წაკითხვამდე „შესასვლელი ბილეთების“ შევსება დაეხმარება მასწავლებელს წასაკითხი ტექსტის მიმართ მოსწავლეთა მოტივაციის აღძვრასა და ყურადღების მობილიზებაში.

III. ტექსტის წაკითხვამდე „შესასვლელი ბილეთების შევსება“ დაეხმარება მასწავლებელს, ობიექტურად შეაფასოს მოსწავლეთა უნარები, და საგნობრივი ცოდნა.

ა) მხოლოდ I; ბ) მხოლოდ I და II; გ) მხოლოდ II და III; დ) მხოლოდ III.

1 2 3 4 5 6 7 8 8a 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 21a 22 23
23a 24 24a 25 25a 26 26a 27 27a 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

დავალება N 19

„როგორ არ ვეცადე. ვილოცე, ბევრი ვიწვალე, იმედი მქონდა, მაგრამ კითხვა ჩემთვის ისევე რთულია, ასოებისგან გაკეთებული წვნიანი რომ დამისხან თეფშზე და სიტყვების წაკითხვა მთხოვონ. ვერაფრით ვხვდები, ამას სხვები როგორ ახერხებენ.“

„თევზი ხეზე“

ლინდა მალალი ჰანთი

ჩამოთვლილთაგან დასწავლის უნარის დარღვევის რომელი ფორმაა აღწერილი მოცემულ ეპიზოდში?

ა) დისკალკულია

ბ) დისლექსია

გ) დისგრაფია

დ) დისპრაქსია

1 2 3 4 5 6 7 8 8a 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 21a 22 23
23a 24 24a 25 25a 26 26a 27 27a 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

დავალება N 20

მასწავლებელმა კარგად უნდა გააცნობიეროს შექების ზედმეტად ან არასწორად გამოყენების პოტენციური საფრთხეები.

ჩამოთვლილთაგან შექებასთან დაკავშირებული რომელი რეკომენდაციაა მართებული?

ა) წაახალისეთ და შეაქეთ მორცხვი და ჩუმი მოსწავლეები, თუნდაც იმისათვის, რომ არ აფერხებენ სასწავლო პროცესს.

ბ) ხშირად შეაქეთ ყოფაქცევით გამორჩეული მოსწავლე, დანარჩენებს კი მოუწოდეთ, მიბაძონ მას და გამოასწორონ ქცევა.

გ) განუმარტეთ მოსწავლეს, რა სპეციფიკური ქმედებისა და მიღწევისთვის აქებთ და როგორ გააუმჯობესა მან საკუთარი მიღწევები.

დ) შემატეთ საკუთარი თავის რწმენა დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეებს და შეაქეთ ისინი დამსახურების მიუხედავად.

1 2 3 4 5 6 7 8 8a 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 21a 22 23
23a 24 24a 25 25a 26 26a 27 27a 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

დავალება N 21

* დავალების გაგრძელება იხილეთ მომდევნო გვერდზე

ისტორიის მასწავლებელმა მოსწავლეები ჯგუფებად დაყო და წყაროების სახით დაურიგა სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის საარჩევნო პროგრამებიდან ამონარიდები განათლების პოლიტიკის შესახებ. წყაროთა ანალიზის საფუძველზე მოსწავლეებს არგუმენტირებულად უნდა ემსჯელათ პროგრამებში წარმოდგენილი განათლების პოლიტიკის შესახებ. აღწერილი საგაკვეთილო აქტივობის გამო ერთ-ერთმა მშობელმა მასწავლებელი პოლიტიკურ პროპაგანდაში დაადანაშაულა და მის მიმართ დისციპლინური ზომების გატარება მოითხოვა.

მშობლის მოთხოვნა:

ა) **მართებული არ არის,** რადგან მას არა აქვს უფლება, კრიტიკულად შეაფასოს საგაკვეთილო პროცესში მასწავლებლის მიერ გამოყენებული აქტივობები.

ბ) **მართებულია,** რადგან პროფესიული ეთიკის კოდექსის მიხედვით, მასწავლებელი არ უნდა ეწეოდეს მოსწავლეებთან პოლიტიკურ პროპაგანდას.

1 2 3 4 5 6 7 8 8a 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 21a 22 23
23a 24 24a 25 25a 26 26a 27 27a 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

გ) **მართებული არ არის,** რადგან ასეთი დავალება ემსახურება არა მოსწავლეთა პოლიტიკური სიმპათიების დადგენას, არამედ მათი კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარებას.

დ) **მართებულია,** რადგან პროფესიული ეთიკის კოდექსის მიხედვით, მასწავლებელი წინასწარ უნდა აწვდიდეს მშობლებს ინფორმაციას კონკრეტული სასწავლო აქტივობებისა და სწავლების მეთოდების შესახებ.

1 2 3 4 5 6 7 8 8a 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 21a 22 23
23a 24 24a 25 25a 26 26a 27 27a 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

დავალება N 22

ჩამოთვლილთაგან რომელია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სტატუსის მინიჭების წინაპირობა?

ა) პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილება და დირექციის თანხმობა.

ბ) კლასის დამრიგებლის მიერ საკითხის დასმა დირექციის წინაშე.

გ) მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა.

დ) მოსწავლის შეფასება მულტიდისციპლინური გუნდის მიერ.

ინსტრუქცია

შესაბამისობის დავალებები ცხრილის სახითაა მოცემული. ცხრილი ორი სვეტისაგან შედგება. ერთ სვეტში მოცემულია პირობა, მეორეში — სავარაუდო პასუხები. სვეტებში მოცემული ინფორმაცია ერთმანეთს უნდა შეუსაბამოთ და პასუხი ჩაწეროთ თანდართულ ცხრილში. აუცილებლად წაიკითხეთ პასუხის ყველა ვარიანტი. გაითვალისწინეთ, რომ რომელიმე მათგანი შეიძლება ორ პირობას შეესაბამებოდეს ან არ შეესაბამებოდეს არც ერთს.

შესაბამისობის დავალებები ერთქულიანია.

1 2 3 4 5 6 7 8 8a 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 21a 22 23
23a 24 24a 25 25a 26 26a 27 27a 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

დავალება N 23

* დავალების გაგრძელება იხილეთ მომდევნო გვერდზე

სწავლებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მოსწავლეებში ევროკავშირის მიერ განსაზღვრული ისეთი საკვანძო კომპეტენციების განვითარებას, როგორებიცაა: წიგნიერება, რაოდენობრივი წიგნიერება, ციფრული წიგნიერება, მულტილინგვური წიგნიერება, სწავლის სწავლის კომპეტენცია და სხვა.

ცხრილის A სვეტში მოცემულია კრიტერიუმი, რომლითაც მოსწავლე ადასტურებს კონკრეტულ კომპეტენციას, ხოლო B სვეტში - კომპეტენციის დასახელება. შეუსაბამეთ ისინი ერთმანეთს.

1 2 3 4 5 6 7 8 8a 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 21a 22 23
23a 24 24a 25 25a 26 26a 27 27a 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

კრიტერიუმი (A)	კომპეტენცია (B)
I. კანონზომიერებების აღმოჩენა და მოდელირება ახალ სიტუაციასთან მიმართებით.	ა) რაოდენობრივი წიგნიერება ბ) მეწარმეობა გ) მულტილინგვური კომპეტენცია დ) ციფრული წიგნიერება ე) სწავლის სწავლის კომპეტენცია
II. სტრატეგიების შერჩევა საკითხის შესასწავლად ან დავალების შესასრულებლად.	
III. იმის გააზრება, თუ როგორ აღიქვამენ ერთსა და იმავე ინფორმაციას სხვადასხვა კულტურის ადამიანები.	
IV. შეძენილი ცოდნის გამოყენებითი ასპექტების მოძიება საკუთარი ან საზოგადოებრივი საჭიროებებისთვის.	

**შესაბამისობები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე განთავსებულ ცხრილში. წერეთ გარკვევით.*

1 2 3 4 5 6 7 8 8a 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 21a 22 23
23a 24 24a 25 25a 26 26a 27 27a 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

დავალება N 24

* დავალების გაგრძელება იხილეთ მომდევნო გვერდზე

დიფერენცირება გულისხმობს სწავლების მართლზომიერ და შესაფერის მორგებას მოსწავლეების საჭიროებებზე ისე, რომ გაიზარდოს მათი შესაძლებლობები, ცოდნა და განვითარდეს უნარები.

ცხრილის A სვეტში მოცემულია მასწავლებლის მიერ განხორციელებული აქტივობები, ხოლო B სვეტში - დიფერენცირების საგანი. შეუსაბამეთ ისინი ერთმანეთს.

	აქტივობა (A)	**დიფერენცირების საგანი (B)**
I.	მასწავლებელმა ისტორიული წყაროების გაცნობის საფუძველზე ზოგიერთ მოსწავლეს დაავალა მოვლენათა ქრონოლოგიურად დალაგება, ზოგს კი - თანამედროვეობასთან პარალელების გავლება.	ა) პროცესი ბ) შინაარსი გ) პროდუქტი
II.	მასწავლებელმა მოსწავლეებს მისცა შესაძლებლობა, ამოცანის ამოხსნა წარმოედგინათ სქემატურად, მაკეტის ან დიაგრამის სახით.	

1 2 3 4 5 6 7 8 8a 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 21a 22 23
23a 24 24a 25 25a 26 26a 27 27a 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

III.	მასწავლებელმა დავალების შესასრულებლად კლასი ჯერ დაყო ჰომოგენურ ჯგუფებად, შემდეგ კი ხელახლა გადააჯგუფა მოსწავლეები შემთხვევითობის პრინციპით.	
IV.	მასწავლებელმა უცხო ენაში მოსწავლეების ერთ ნაწილს დასამუშავებლად მისცა ტექსტის ადაპტირებული ვერსია, მეორე ნაწილს კი - სრული ვარიანტი.	

**შესაბამისობები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე განთავსებულ ცხრილში. წერეთ გარკვევით.*

1 2 3 4 5 6 7 8 8a 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 21a 22 23
23a 24 24a 25 25a 26 26a 27 27a 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

ინსტრუქცია

ღია დავალება მოითხოვს არგუმენტირებულ მსჯელობას მოცემული საკითხის შესახებ. ყურადღებით წაიკითხეთ დავალების პირობა და შეკითხვა. გაითვალისწინეთ: თქვენი პასუხი უნდა იყოს კონკრეტული და შეკითხვის შესაბამისი, დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები.

პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე ჩაწერეთ თქვენი პასუხი; არ გასცდეთ დავალებისათვის განკუთვნილ არეს.

თითოეული ღია დავალების გასწვრივ მითითებულია მაქსიმალური ქულა.

1 2 3 4 5 6 7 8 8a 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 21a 22 23
23a 24 24a 25 25a 26 26a 27 27a 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

დავალება N 25

* დავალების გაგრძელება იხილეთ მომდევნო გვერდზე

მაქსიმალური ქულა - 4

დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების დაუფლება საჭიროა მოსწავლეთა მოქალაქეობრივი ცნობიერების ჩამოყალიბებისათვის.



1 2 3 4 5 6 7 8 8a 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 21a 22 23
23a 24 24a 25 25a 26 26a 27 27a 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

– აღწერეთ სტრატეგია, რომელიც დაგეხმარებათ, მოსწავლეებს განუვითაროთ კონფლიქტების მოგვარების უნარი და განმარტეთ, როგორ შეუწყობს ის ხელს აღნიშნული უნარის განვითარებას.
– ახსენით, რატომ არის მნიშვნელოვანი დემოკრატიული კულტურის ჩამოყალიბებისათვის ამ კომპეტენციის განვითარება.

**პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.*

1 2 3 4 5 6 7 8 8a 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 21a 22 23
23a 24 24a 25 25a 26 26a 27 27a 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

დავალება N 26

* დავალების გაგრძელება იხილეთ მომდევნო გვერდზე

მაქსიმალური ქულა - 4

მასწავლებელმა მოსწავლეებს დაავალა გლობალურ მოქალაქეობასთან დაკავშირებით დროის ხაზის შევსება. დროის ხაზზე მათ უნდა აღენიშნათ მოვლენები, რომლებიც შეიძლება განვითარდეს პრობლემის გადაჭრის პროცესში. დავალება მოსწავლეებს შემდეგი სქემის მიხედვით უნდა შეესრულებინათ:



1 2 3 4 5 6 7 8 8a 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 21a 22 23
23a 24 24a 25 25a 26 26a 27 27a 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

სქემის შევსების შემდეგ მოსწავლეებს უნდა ემსჯელათ შემდეგ საკითხებზე:

- ✓ ჩამოთვლილთაგან რომელი ცვლილებაა ყველაზე მოსალოდნელი?
- ✓ რისი შეცვლაა საჭირო, რომ სასურველი მომავალი იქცეს რეალობად?
- ✓ რა წვლილის შეტანა შეგვიძლია სასურველი მომავლის შესაქმნელად?

– დაასახელეთ ამ აქტივობის გამოყენების ორი დადებითი შედეგი.

– განმარტეთ, როგორ შეუწყობს მასწავლებლის მიერ გამოყენებული აქტივობა ხელს გლობალური მოქალაქეობის სწავლებას.

**პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.*

1 2 3 4 5 6 7 8 8a 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 21a 22 23
23a 24 24a 25 25a 26 26a 27 27a 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

დავალება N 27

* დავალების გაგრძელება იხილეთ მომდევნო გვერდზე

მაქსიმალური ქულა - 3

„ჩემი კლასელების ფანტაზიას ბოლო არ უჩანდა: ერთ დღეს ჩვენივე შეკერილი ტანსაცმლით მოვედით, მეორე დღეს ყველამ თავისი შინაური ცხოველი მოიყვანა... მესამე დღეს ლექსები ვწერეთ, მეოთხე დღეს საკუთარ თავს სახელი შევურჩიეთ და მთელი კვირა ჩვენივე მოფიქრებული სახელები გვერქვა; კიდევ სხვა დღეს ველოსიპედის ტარება გვასწავლეს... და ბოლოს:

– ტიტა, შენ რას შემოგვთავაზებ? - განსაკუთრებულს ვერაფერს ვფიქრობდი და მასწავლებელს საცოდავი სახით შევაჩერდი. ჩემი გამოისობით ხვალ ჩვეულებრივი გაკვეთილი არ აგვცდებოდა.

– ტიტა?

– ვერაფერს ვფიქრობ, მასწ.

კლასმა ამოიოხრა.

– კარგი, ხვალ ჩვეულებრივი გაკვეთილი გვექნება, ზეგამდე რამე მოიფიქრე. მაგრამ მდგომარეობა არც ზეგ შეიცვალა და არც მაზეგ.“

„სპილო ოთახის ბნელ კუთხეში“ თეა თოფურია

1 2 3 4 5 6 7 8 8a 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 21a 22 23
23a 24 24a 25 25a 26 26a 27 27a 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

- აღწერეთ სტრატეგია, რომელიც უნდა გამოიყენოს მასწავლებელმა იმისათვის, რომ დაეხმაროს მოსწავლეს პრობლემის დაძლევაში.
- დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.

**პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.*

1 2 3 4 5 6 7 8 8a 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 21a 22 23
23a 24 24a 25 25a 26 26a 27 27a 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

დავალება N 28

მაქსიმალური ქულა - 3

პანდემიის პირობებში დისტანციური განათლების მოდელზე სრულად გადასვლამ მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა სასწავლო პროცესში. კვლევებით დადასტურდა, რომ, ტრადიციული განათლების მსგავსად, დისტანციურ სწავლებასაც ჰქონდა თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. დისტანციური სწავლების ერთ-ერთი უარყოფითი მახასიათებელია მოსწავლის ადეკვატური გამოკითხვისა და განმსაზღვრელი შეფასების გაძნელება.

- აღწერეთ სტრატეგია, რომელიც დაეხმარება მასწავლებელს დისტანციური სწავლების დროს საბაზო და საშუალო საფეხურების მოსწავლეთა ობიექტურ შეფასებაში.
- დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.

პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.

1 2 3 4 5 6 7 8 8a 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 21a 22 23
23a 24 24a 25 25a 26 26a 27 27a 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

დავალება N 29

* დავალების გაგრძელება იხილეთ მომდევნო გვერდზე

მაქსიმალური ქულა - 8

სიტუაციის ანალიზი

ახალბედა მასწავლებელი ვარ, უფროსი მასწავლებლის სტატუსით დავიწყე მუშაობა სკოლაში, რომელიც დაბის გარეუბანში მდებარეობს. სკოლაში ძალიან ბევრი გამოცდილი მასწავლებელი დამხვდა. სამასწავლებლოში ხშირად ყოფნას ვცდილობდი, მინდოდა, მასწავლებლების საუბრები მომესმინა, რათა მიმეღო პასუხები შეკითხვებზე, რომელთა ხმამაღლა დასმა მერიდებოდა. ისინი ყველაფერზე საუბრობდნენ, გარდა სწავლებასთან, კლასის მართვასთან და, ზოგადად, სკოლაში არსებულ პრობლემებთან დაკავშირებული საკითხებისა. კათედრის სხდომას ველოდებოდი. იქნებ იქ მაინც მიმეღო პასუხი ჩემს კითხვებზე, მაგრამ მთელი შეხვედრა გეგმის დამტკიცებას დაეთმო და ერთი შეკითხვის დასმა ძლივს მოვახერხე. „პედაგოგიკაში მზა რეცეპტები არ არსებობს. გამოცდილება გიკარნახებს, როგორ ჯობია“, - დამაიმედა სკოლაში საუკეთესოდ აღიარებულმა ერთ-ერთმა მასწავლებელმა.

მოსწავლეებთანაც ვცადე საუბარი. კმაყოფილები არიან, რომ მასწავლებლები ნიშნებთან დაკავშირებულ პრობლემებს არ უქმნიან, რაიონში ბევრი ძლიერი მასწავლებელია, რომლებთანაც საგამოცდოდ მომზადებას შეძლებენ. გაკვეთილებთან დაკავშირებით რაიმე სახის პრეტენზია არც მშობლებისგან მსმენია. ალბათ ამიტომაც არის, რომ დირექტორი და მისი მოადგილე გაკვეთილებს არ ესწრებიან.

1 2 3 4 5 6 7 8 8a 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 21a 22 23
23a 24 24a 25 25a 26 26a 27 27a 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

სკოლა კარგი გვაქვს, კეთილმოწყობილი, არის კომპიუტერული კლასიც, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ორ საათზე შენობა უკვე ცარიელია. სკოლის ბიბლიოთეკაშიც განსაკუთრებული სიჩუმე და სიმყუდროვეა. შემიძლია პროფესიულ ლიტერატურას გავეცნო, მაგრამ ერთია თეორიები, მეორე - პრაქტიკა. მაგალითად, სად შეიძლება ვიპოვო პასუხი შეკითხვაზე, რატომ აქვთ ჩემს მოსწავლეებს ასეთი დაბალი შედეგები, როცა მე მათთან ტრენინგზე ახლახან შესწავლილი მეთოდებიც კი გამოვიყენე. სხვათა შორის, ტრენინგი დაბის ცენტრში მდებარე სკოლაში ჩატარდა და ამის შესახებაც შემთხვევით გავიგე.

- აღმოაჩინეთ დაბის გარეუბანში მდებარე სკოლაში არსებული ორი პრობლემა.
- განმარტეთ, რა უარყოფითი შედეგი შეიძლება მოჰყვეს თითოეულ მათგანს.
- შეიმუშავეთ რეკომენდაციები და ახსენით, როგორ დაეხმარება ისინი მასწავლებელს თქვენ მიერ დასახელებული თითოეული პრობლემის გადაჭრაში.

**პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.*

1 2 3 4 5 6 7 8 8a 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 21a 22 23
23a 24 24a 25 25a 26 26a 27 27a 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

დავალება N 30

* დავალების გაგრძელება იხილეთ მომდევნო ორ გვერდზე

მაქსიმალური ქულა - 12

გაკვეთილზე დაკვირვება

სკოლის ადმინისტრაციამ გადაწყვიტა მასწავლებელთა ურთიერთანამშრომლობის ერთ-ერთი ეფექტიანი სტრატეგიის - „კრიტიკული მეგობრის“ დანერგვა. პროექტის ფარგლებში კოლეგები ერთმანეთის გაკვეთილებს ესწრებოდნენ, აფასებდნენ და შეიმუშავებდნენ რეკომენდაციებს.

გთავაზობთ დოკუმენტს, რომელიც ერთ-ერთმა პედაგოგმა კოლეგის გაკვეთილზე დასწრების საფუძველზე შექმნა.

გაკვეთილის აღწერა
გაკვეთილის დასაწყისში მასწავლებელმა კლასს პროექტორით აჩვენა და წაუკითხა გაკვეთილის მიზანი. კედელზე გამოკრული იყო მოსწავლეთა ქცევის წესები. მასწავლებელმა წინა გაკვეთილზე შესწავლილი მასალის (მოთხრობა „ცრუ“) გასახსენებლად დასვა შეკითხვები: – რომელ მოთხრობას გავეცანით გუშინ? – რის შესახებ იყო ეს მოთხრობა?

1 2 3 4 5 6 7 8 8a 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 21a 22 23
23a 24 24a 25 25a 26 26a 27 27a 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

– რატომ მოგეწონათ ან არ მოგეწონათ მოთხრობის მთავარი მოქმედი პირი?

მასწავლებელმა კლასს გამოუკრა დაწერილი ტექსტი „ცრუ“, რომელშიც გამოტოვებული იყო სიტყვები. მოსწავლეები რიგ-რიგობით გამოდიოდნენ და აღადგენდნენ ტექსტს.

– ყოჩაღ, კარგად გავართვით თავი! - შეაქო მასწავლებელმა კლასი.

ამის შემდეგ მან დასვა კითხვები:

– როგორ დასრულდა მოთხრობა?

– თქვენ როგორ დაასრულებდით?

– როგორი საქციელია ტყუილის თქმა?

მოსწავლეები გამოთქვამდნენ თავიანთ მოსაზრებებს. აღმოჩნდა, რომ ბევრ მათგანს ზოგჯერ ტყუილის თქმა დასაშვებად მიაჩნდა.

გაკვეთილი ჯგუფური მუშაობით გაგრძელდა. მოსწავლეებმა მერხები შესაბამისად განალაგეს და სურვილისამებრ დაჯგუფდნენ. ჯგუფებში მხოლოდ ლიდერები აქტიურობდნენ, ერთ-ერთ ჯგუფში მოსწავლე მუშაობას გამოეთიშა და ჩუმად იჯდა გაკვეთილის ბოლომდე. ამის გამო მასწავლებელი ხშირად ახსენებდა მოსწავლეებს მუშაობის წესებს და თანამშრომლობისკენ მოუწოდებდა.

1 2 3 4 5 6 7 8 8a 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 21a 22 23
23a 24 24a 25 25a 26 26a 27 27a 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

ბოლოს მასწავლებელმა კლასს მიმართა:

- მე მთლიანობაში მომეწონა ჩვენი გაკვეთილი, თქვენ რა მოგეწონათ? რამდენიმე მოსწავლემ ხელი აწია და უპასუხა მის შეკითხვას.
- ვფიქრობ, შევასრულეთ ჩვენი მიზანი - მოსწავლეები მასწავლებელს ერთხმად დაეთანხმნენ.

წარმოდგენილ აღწერაზე დაყრდნობით შეაფასეთ ჩატარებული გაკვეთილი.

დავალება შეასრულეთ შემდეგი მითითებების მიხედვით:

- გააანალიზეთ ჩატარებული გაკვეთილის ორი დადებითი მხარე.
- გააანალიზეთ ჩატარებული გაკვეთილის ორი უარყოფითი მხარე.
- შეიმუშავეთ რეკომენდაციები და ახსენით, როგორ დაეხმარება ისინი მასწავლებელს თითოეული ხარვეზის აღმოფხვრაში.

პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.

1 2 3 4 5 6 7 8 8a 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 21a 22 23
23a 24 24a 25 25a 26 26a 27 27a 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

დავალება N 31

* დავალების გაგრძელება იხილეთ მომდევნო ორ გვერდზე

მაქსიმალური ქულა - 4

მონაცემთა ანალიზი

2006 წლიდან საქართველო მონაწილეობას იღებს სხვადასხვა საერთაშორისო შეფასებაში, მათ შორის, წიგნიერების საერთაშორისო კვლევაში (PIRLS). აღნიშნული კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ საქართველოს სკოლებში აუცილებელია მოსწავლეთა წიგნიერების ამაღლებაზე ზრუნვა.

PIRLS-ის კვლევის შედეგად მიღებული ერთ-ერთი შედეგი ასახულია დიაგრამაზე:

1 2 3 4 5 6 7 8 8a 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 21a 22 23
23a 24 24a 25 25a 26 26a 27 27a 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a



1 2 3 4 5 6 7 8 8a 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 21a 22 23
23a 24 24a 25 25a 26 26a 27 27a 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

გააანალიზეთ დიაგრამაზე ასახული მონაცემები:

- წარმოდგენილ მონაცემებზე დაყრდნობით გამოკვეთეთ საკითხი და გამოიტანეთ დასკვნა.
- აღწერეთ სტრატეგია, რომელიც დაეხმარება მასწავლებელს თქვენ მიერ დასკვნაში ხაზგასმულ საკითხზე მუშაობაში.
- დაასაბუთეთ, როგორ შეუწყობს ის ხელს სწავლის ეფექტიანობას.

**პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.*

1 2 3 4 5 6 7 8 8a 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 21a 22 23
23a 24 24a 25 25a 26 26a 27 27a 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

დავალება N 32

* დავალების გაგრძელება იხილეთ მომდევნო გვერდზე

მაქსიმალური ქულა - 8

ფუნქციური წერა

ინსტრუქცია: *სათქმელი ჩამოაყალიბეთ ნათლად და გასაგებად. მკაფიოდ წარმოაჩინეთ პრობლემის არსი და დამაჯერებლად დაასაბუთეთ საკუთარი მოთხოვნა. გაითვალისწინეთ, ნაშრომი, რომელიც 140 სიტყვაზე ნაკლები იქნება, არ გასწორდება ენობრივი კრიტერიუმების მიხედვით. ნებისმიერი სახელისა და გვარის, ან თარიღის მითითების შემთხვევაში დავალება არ გასწორდება! თუ გადაწყვეტთ თარიღის მითითებას, ის აუცილებლად უნდა ემთხვეოდეს თქვენი გამოცდის დღეს, მაგალითად, 14.07.2022.*

დავალების პირობა:

მოსწავლეთა ციფრული კომპეტენციების ანალიზის დროს აღმოჩნდა, რომ სკოლის მოსწავლე გოგონების მოტივაცია ციფრული წიგნიერების მიმართულებით დაბალია, რაც განპირობებულია გოგონების ტექნიკურ შესაძლებლობასთან დაკავშირებული გენდერული სტერეოტიპებით. თქვენ გადაწყვიტეთ, რომ დაგეგმოთ პროექტი, რომელიც აღწერილი პრობლემის მოგვარებაში დაგეხმარებათ. პროექტის დაფინანსებას სკოლა სრულად ვერ უზრუნველყოფს, ამიტომ საჭიროა, მიმართოთ დონორ ორგანიზაციას, რომელსაც სკოლებთან თანამშრომლობის გამოცდილება აქვს.

1 2 3 4 5 6 7 8 8a 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 21a 22 23
23a 24 24a 25 25a 26 26a 27 27a 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a

– ოფიციალური წერილით მიმართეთ ზემოხსენებულ ორგანიზაციას ფინანსური მხარდაჭერისათვის და დაუსაბუთეთ, რატომ არის მნიშვნელოვანი ამ პროექტის განხორციელება.

**პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე დავალების შესაბამისი ნომრის გასწვრივ.*

1 2 3 4 5 6 7 8 8a 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 21a 22 23
23a 24 24a 25 25a 26 26a 27 27a 28 29 29a 30 30a 30b 31 31a 31b 32 32a